# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-15. 15240869**

თარიღი:**26/03/2024**

**„კანონით განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 სექტემბრის Nგ-15.15232724 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2023 წლის 06 დეკემბერს N1423340534-06 განცხადებით მიმართა შპს ,,დრიმ ლაინმა'' (ს/N448416287) და მოითხოვა „კანონით განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 სექტემბრის Nგ-15.15232724 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება. ტექნიკური შეცდომის არსი მდგომარეობს შემდეგში: განმცხადებლის მიერ არასწორად იქნა მითითებული საპროექტო ტერიტორიის ერთ-ერთი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი (საკადასტრო კოდის შემადგენელი ერთი ციფრი), რამაც გამოიწვია ცდომილება გაცემულ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში (განკარგულებაში). კერძოდ, ნაცვლად საკადასტრო კოდისა: „N05.32.08.237“ უნდა იყოს „N05.32.28.237“; შესაბამისად, მიწის საერთო ფართი, ნაცვლად „10136.00 კვ.მ“ უნდა იყოს „10135.00 კვ.მ“.

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 59-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დაკმაყოფილდეს შპს ,,დრიმ ლაინი“-ს (ს/NN448416287) 2023 წლის 06 დეკემბრის N:1423340534-06 განცხადება და გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ,,კანონით განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 სექტემბრის Nგ-15.15232724 განკარგულებაში და განკარგულების მთელ ტექსტში ნაცვლად საკადასტრო კოდისა „N05.32.08.237“ მიეთითოს საკადასტრო კოდი „N05.32.28.237“; ხოლო მიწის საერთო ფართი, ნაცვალდ „10136.00 კვ.მ“ მიეთითოს „10135.00 კვ.მ“.

2. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ,,კანონით განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 სექტემბრის Nგ-15. 15232724 განკარგულების შემადგენელ ნაწილს.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი